ოქმი:**ო08. 3725024001**

თარიღი:**24/01/2025**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 24 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, პ. კიღურაძე, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, დ. დარჩია.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე(ს.კ.26.26.31.009) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის პირველ საკითხზე, ვრცლად კი ისაუბრა, თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი დადგენილება არსებული კანონმდებლობის თანახმად ყოველი წლის პირველ თებერვლამდე მიიღება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. მიმდინარე წელს

მუნიციპალიტეტის მერიამ ვადებისა და პროცედურების დაცვით წარმოადგინა დადგენილების პროექტი, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო პროექტი. კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტის წინა წელს განხილვისას გამოითქვა აზრი ფასების გადახედვის შესახებ, მაგრამ არსებული სიტუაცის გათვალისწინებით, ამჟამად, მიზანშეწონილია ნორმატიული ფასების უცვლელად დატოვება.კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია საკრებულოს წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე არსებული 1000კ.მ. არასასოფლო -სამეურნეო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის გადაცემას, კერძოდ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოფისის ასაშენებლად. აღინიშნა, რომ საკითხზე კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილვისათვის სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგის N 1 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

2. N2 საკითხზე კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილვისათვის სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე